




ტარიელ ხარხელიანი



Handwritten text in Georgian script, likely a poem or letter.

ვინ შეაჩერებს ახლა ამ წგრევეს სიცოცხლეს სისხლისფერი ალმებით...


ო რა მწუხარედ კენესის საათი დრო ღანვზე სისხლად ჩამოგვეცრემლა...

ჩამოდა ჩემი მიმწუხრის ფაში აქ ბოლოფამის მუსიკას ვისმენ...

ენევარ დაჭირხულ მათა კალთებზე რომ ველარ შესძლოს სისხლმა გალხობა...

მთვარე და ღრუბელი მოჰყვება ჩხილავით მრავალჯერ განცდილი ხილვები ბრუნდება...

უნდა ფერი ვიცვალო უნდა გავიამინდო მისტიკური სამყაროს აჩრდილები მდევნიან...



Handwritten text in Georgian script, likely a poem or letter.

არც სიყვარულის არც უფლის მაღლი როგორ დამქანცა სამყაროთა მუდმივმა შფოთმა...



ყოველ მზის დასვლას ამაზრზენი მზერით ვაცილებ აღარ მაქვს ძალა...

Handwritten text in Georgian script, likely a poem or letter.

Handwritten text in Georgian script, likely a poem or letter.



ღალი გაზიჟილი

\*\*\*

სულს რომ გვითბობს,
ის პატარა ნაპერწკლები,
ყველას გულში
უჩუმრად რომ ღვივის,

ორ ზღვარს შუა

კვართისფერ სამოსს
ცა ირგებს მხრებზე,
თოვს, ცადაწვდილი
მთებიც მშვიდია,

აქეთ და იქით...

აქეთ და იქით
მზე იქცა დარდად,
კლდეთა ნავალზე
სისხლის კვალს ტოვებს,

\*\*\*

მთელი ღამეა ქარები
ცის კენწეროებს ხრიან,
ღლე - ავთვალდაუკარები,
ჩამოჩალისფრდა გვიან.

ენგურის ხიდი

მწუხარების, სიხარულის
ერთად რეკავს ორი ზარი,
როგორც მარცვალას თბილი ხნული,

ვაზი ტირის...

გაიღვიძებს მზე
სხივების თბილი გამაში,
ფრთით ნიავის
ამღერდება ლერწმის სტვირი,

ღავით ვარეცი

სანუხარმა ჩუმად იცის შემოჩვევა,
დარდისფერი ცრემლიც ისევ
გულში წვეთავს,



ფოტო პაატა ლიპარტელიანისა

ტაოს ტაძრებს,
ჩუქურთმად რომ შეატოვებს,
ქართლის ზერებში
ვაზს რომ ველარ გადავიწინავე!

ვიდრე ახსოვხართ

(ემიგრანტებს)

ჩიტი რომ ბუდეს მიატოვებს,
ხე მაშინ ტირის,
ტოტზე დარჩენილ ნათითურებს
ბოლომდე ათბობს,

წვიმა

ქარმა რატომ გადარია
ასე წვიმა?!
იქნებ სადმე დაეკარგა
თუნდაც წვეთი?!

ღამის, გვიან...
ცრემლს ვინ არ ღვრის,
დარდს ისე რა გვათმენინებს,

იესო

ღალატის მერე
სინანულმა წლები წალეკა,
თავგანწირულს კი
სიყვარული ეგება ნოხად,

\*\*\*

წვიმაც შენ ხარ,
მზეც და მთვარეც,
ქარის ქროლვაც,
ნაზი იაც...

მაგ სიყვარულის თავთავი

ხელეურივით მიჭირავს
მაგ სიყვარულის თავთავი,
სულს მხდის წადლის წრიჭინა
ღამეულ ჰანგზე ნართავი.

ერთიანი მინდა გნახო

სარკე მთვარის არა მტოვებს,
მეც დილამდე მასთან ვრჩები,
სიჩუმეს და სიმარტოვეს
შენთან ერთად ვეფერები!





### თავაზო რიკვაია

1902 წელს იერუსალიმში მოგზაურობის დროს, გამოჩენილმა მეცნიერმა ნიკო მარმა, ჯვარის საფანის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში, აღმოაჩინა ჯვარის სამონასტრო მატრიანები (სადაც მატრიანები), რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში უნახავს ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს (ამ საპატიო წყაროდან ამოკრეფილი ცნობები ტიმოთეს შეტანილი აქვს თავის „მომსვლამი“.

ნიკო მარმა მის მიერ აღმოჩენილი ტექსტები გამოაქვეყნა 1914 წელს წიგნში – „ალაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“. სადაც წიგნში მან ასეთი ალაპნი წახა: „ორმაბათი სულისა წმიდისა მისვლისა“.

„ამავე ორმაბათისა ალაპნი შოთასა მეჭურჭლეთუხუცესისანი ვინ შეცვალის შემცავლელულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთისა“. ასევე შოთას ალაპნი განმეორებულია ალაპთა მოკლე წესსაში, სადაც იგი შემდეგნაირად იკითხება: „ორმაბათისა სულისა წმიდისა მოსვლისასა წირვანი და ალაპნი საუკუნოი შოთასა მეჭურჭლეთუხუცესისანი შეუნდვენ ღმერთმან“.

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსთაველის ბიოგრაფიის შესწავლას ხელი მოჰკიდა აკად. პავლე ინგოროყვამ. 1926 წელს მან ცალკე წიგნად გამოსცა „რუსთველიანა“, ხოლო 1963

წარმოიქმნა „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ალაპის და ამავე მონასტრის სვეტზე გამოსახული რუსთაველის ფრესკის ურთიერთობის საკითხი. პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით მან ალაპი XII-XIII საუკუნეთა მიჯნით დაათარიდა, ხოლო ალაპთა წიგნების ჩანაწერების ხასიათისა და ჯვარის მონასტრის გა-



ცვლილი 1195 წლიდან 1205 წლამდე შალვა თორელი იყო, 1205 წლიდან 1220 წლამდე – შოთა რუსთაველი, ხოლო 1220 წლიდან ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელი.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა თავის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში პროფ. შ. მესხიამ. მისი აზრით, აბულასანის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესობა ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელს უნდა ჰქონოდა. ყვარყვარეს ეს თანამდებობა მართლაც არის დადასტურებული 1221 წლიდან.

უამთააღმწერლის მატრიანები არის ცნობა, რომ ამ წელს მონღოლებთან ბრძოლაში მოკლეს მეჭურჭლეთუხუცეს ყვარყვარეს შვილი ბექა. მართლაც, 1189 წლიდან 1221 წლამდე, მატრიანები არაფერს ამბობენ და ეს თანამდებობა „ვაკანტურია“ 30 წლის მანძილზე. შ. მესხია თვლიდა, – რაკი თამარისა და ლაშას ეპოქების ისტორიკოსთა თხზულებებში აბულასანისა და ყვარყვარეს შორის სხვა კონკრეტული პიროვნება არ ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაზირის პოსტზე აბულასანი შეცვალა ყვარყვარე ჯაყელი.

მკვლევარმა გ. არაბულმა თავის გამოკვლევებში „შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“ დეტალურად განიხილა პროფ. შ. მესხიას ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ – მართალია ყვარყვარე ჯაყელი გიორგი რუსის აჯანყების დროს არ შეუერთდა ამოხეხულებს და თამარის მხარე დაიჭირა, მაგრამ

სანობის ძის, ინაისა ხელითა დაისუა ხელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგისა.“ ეს ძველი ყველა მკვლევარის მიერ 1207-1212 წწ. არის დათარიღებული.

აკად. პ. ინგოროყვას აზრით, გუნია-ყალის წარწერაში XII-XIII საუკუნის მიჯნის საქართველოს სამეფოს საგაზიროს (ხუთი ვაზირის შემადგენლობით) წარმოდგენილი.

ასევე ფიქრობს დ. მუსხელიშვილი: მჭონდიდელი, ზაქარია, შალვა, ოსიყმა, ივანე – ხუთივე ვაზირი რიგზე არის ჩამოთვლილი. ა. ბაქრაძის დასკვნითაც – „ამ ძველის სახით ჩვენ გვაქვს პირველი ეპიგრაფიული წყარო, სადაც სრულიად საქართველოს მეფეებთან ერთად იხსენიებიან საგაზიროს ყველა წევრი.“

ნ. ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ აქ მოხსენიებული პირნი ვაზირები, რომ ბრძანების გამცემი თამარის დროს სხვა ვინ უნდა იყოს თუ არა საგაზირო. მისი აზრით, ესაა საგაზიროს სრული სია და თუ „ჩვენ ზოგიერთს თამარის ვაზირებათ არ ვიცნობდით, ეს ჩვენი ცოდნის ნაკლებობის მიზეზობაა. ორ პირს გარდა აქ ყველა უცნობია. ზაქარია, ვფიქრობთ მხარგრძელთა – ამირსპასალარი, შალვა თორელია – მანდატურთუხუცესი (შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა სხვაგანაცაა დამოწმებული).

თავისი ყმა მეჭურჭლეთუხუცესთაა საგულეხელი, ვაჩე კი, უნდა ვიფიქროთ, ამირახორია. მის მსახურთუხუცესობას ვერ ვივარა-

# ჯვარის მონასტრის აღმოჩენის „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“

წელს – „რუსთველიანას ეპილოგი“, სადაც საბოლოოდ შეაჯამა საკუთარი თვალსაზრისი. შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ.

პინგოროყვას გამოკვლევის ძირითადი დასკვნები ასეთია: პოეტი შოთა რუსთაველი იგივე შოთა კუპრია, რომელიც საქართველოს ისტორიაში ცნობილია, როგორც XIII საუკუნის 40-იანი წლების პერეთის ერისთავი. მისი აზრით, შოთა კუპრი იყო საქართველოს მეფეთა გვარის – ბაგრატიონების ერთ-ერთი შტოს, პერეთის მმართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი. იგი ჯერ ყოფილა ქალაქ რუსთავის მფლობელი, საიდანაც მიუღია ზედწოდება „რუსთაველი“, შემდეგ გამხდარა ერისთავთ-ერისთავი საქართველოს აღმოსავლეთ მხარეთა – პერეთისა და რუსთავის ოლქებისა („ქვეყნებისა“).

1196-1207 წლებში შოთას დაუნერია „ვეფხისტყაოსანი“. თითქოს იგი 1245 წელს მონაწილეობდა ქართულ მთავართა მიერ მონღოლთა წინააღმდეგ განზრახულ კოხტასთავის შეთქმულებაში (ინგოროყვას გამოთვლით, ის ამ დროს 79 წლის იყო).



ნახლება-შეკეთების ისტორიის გათვალისწინებით დადგინდა, რომ რუსთაველის ფრესკაც იმავე ეპოქაში დახატული უნდა იყოს და რომ სვეტზე გამოსახული „რუსთველი“ და ალაპში მოხსენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია.

რომელ წლებში შეიძლება ყოფილიყო შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი და სახანისი წევრი? ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

თამარ მეფემ 1185 წელს მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნული კახაბერ ვარდანის-ძე 1187-88 წელს აბულასან იობისძით შეცვალა. აბულასანმა დიდი როლი ითამაშა გიორგი რუსის საქართველოში ჩამოყვანაში, რაც უდავოდ მეფის კარზე მის დიდ ავტორიტეტს უსვამს ხაზს.

იგი 1189 წლისთვის დაახლოებით მხოლოდ ოცი წლის თუ იქნებოდა და ამ ასაკში ვაზირის მალაქ პოსტზე მისი დანიშვნა ნაკლებ საეარაუდოა. ამასთან იგი აღნიშნავს: მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. უმეფობის ხანაში, (1245-46) ყვარყვარე ჯაყელის მეთაურობით მესხთა ლაშქარმა დაამარცხა თურქმანთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც ტაოს აოხრებდა. როგორც ჩანს, ამ დროს ყვარყვარე კვლავ მხნე მებრძოლი ყოფილა. რამდენი წლის იქნებოდა მაშინ ის? ძალიან ბევრის. ამ დროს 70-75 წლის რომ ყოფილიყო, მაშინ იგი 1189 წელს, სრულიად ახალგაზრდა იქნებოდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ მის სახელს 1189 წლის ამბების ხსენებისას არ ახლავს არცერთი ეპითეტი, რაც უნდა ჰქონდეს „მხნე“, „მემართებელი“, „ერთგული“, „დიდად მამსახური“ და მეფეთა მიერ შეწყალებული მოხელე.

უღებო: მსახურთუხუცესი ამ დროს თითქოს უდავოდ ივანე მხარგრძელი იყო, ხოლო მისი აქ მოუხსენიებლობა იმ ცნობას მოწმობს, რომ რუსუდანის დრომდის მსახურთუხუცესი საგაზიროში არ შედიოდა.

პროფ. შ. მესხია მიიჩნევს, რომ გუნია-ყალას წარწერაში მოხსენიებული პირების სია არ არის საგაზიროს სრული შემადგენლობა. იგი თვლის, რომ მხოლოდ მჭონდიდელი და ზაქარია მხარგრძელები არიან ვაზირები, ხოლო დანარჩენები – საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები: შალვა ვავახტის მხარის ერისთავთ-ერისთავი, ოსიყმა – თრიალეთის ერისთავი, ხოლო ვაჩე – სამშვილდის მხარის ერისთავთ-ერისთავი. სამივე სწორედ იმ მხარის ერისთავთ-ერისთავები არიან, რომელთა საგამგეო უშუალოდ შედიოდა ამ დროს შექმნილ ვრცელ სახასო ქვეყანაში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა შალვა თორელის ვაზირობის საკითხი, ვინაიდან იგი შოთა რუსთაველთან ერთად ფეოდალურებს ვაზირთა სიაში.

შალვას მანდატურთუხუცესობაზე ცნობას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი“:

„... წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელის ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე დალათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხვანი თორელნი“.

თითქოს 1247-50 წლებში შოთას, ერისთავთ-ერისთავს და ვაზირ-მეჭურჭლეთუხუცესს, იერუსალიმში გაუგზავნა ეპისკოპოსი ანტონ ალავერდელი. მისთვის გაუტანებია სათანადო თანხა ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად. ანტონ ალავერდელმა დაახატვინა შოთას სურათი მონასტრის სვეტზე და მანვე ჩაწერა შოთას მოსახსენებელი ალაპთა წიგნი. პინგოროყვას მტკიცებით შოთა რუსთაველი გარდაიცვალა 1250 წლის ახლოს, დაახლოებით 84 წლის ასაკში და იგი დასაფლავებულია მის საგვარეულო სამარხში, რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში.

დღეისათვის რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული პ. ინგოროყვას ყველა ძირითადი დებულება უარყოფილია და მათი მცდარობა დასაბუთებულია ქართველი ისტორიკოსების და ფილოლოგების მიერ (კ.კეკელიძე, ს.კაკაბაძე, ზ.აგაბიძე, იორდანიშვილი, ალ. ბარამიძე, ნ.ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, დ. გვრიტიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ნ. შოშიაშვილი, დ. ქუშიშვილი, ს. ცაიშვილი და სხვები).

იყო თუ არა ალაპებში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი თამარის მეფობის პერიოდში საგაზიროს წევრი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი? ზოგიერთი მკვლევარი ამ აზრს არ იზიარებს. მაგალითად პროფ. შ. მესხია თავის ნაშრომში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ჯვარის მონასტრის ალაპების „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ არ უნდა იყოს თამარის მეფობის დროინდელი (1184-1213) მეჭურჭლეთუხუცესი.

აკად. ე. მეტრეველმა 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, საგანგებოდ განიხილა ჯვარის მონასტრის სვიანაქ-

ვინ შეცვალა აბულასანი მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე? ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავოდაა ცქეული.

აკად. პ. ინგოროყვას აზრით, აბულასანის შემდეგ, 1191-1196 წლებში, მეჭურჭლეთუხუცესობა, როგორც აბულასანის მემკვიდრეობა, მიუღია პერეთის ერისთავს ასათ გრიგოლის-ძეს. პროფ. დ. ბერძენიშვილის აზრით, აბულასანის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად უნდა ყოფილიყო ოსიყმა, რომელიც გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებული (ამ წარწერას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ). ს. კაკაბაძეს აბულასანის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესობა 1198-1205 წლამდე გადააქვს, ხოლო მას შემდეგ იგი შალვა თორელს მიიჩნევს ამ თანამდებობაზე. ისტ. ნ. შოშიაშვილის აზრით, აბულასანის შემ-

ასეთი ჩვეულებრივი რიგითი პიროვნება მალაქ თანამდებობას, მით უმეტეს, ვაზირობას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „ხელი“ მას მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. ყვარყვარე ციხისჯვარელის მიმართ ეს პირობაც გამოირიცხვია. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ დასკვნა ასეთი იქნება: 1190-იან წლებში ყვარყვარე ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესი იყო იქნებოდა. ვინ იყო ამ დროს საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი? ისტორიულ წყაროებში მეჭურჭლეთუხუცესად ცნობილი პირთა შორის შოთა რუსთაველი ერთადერთია, ვინც 1190-იან წლებში ამ „ხელის“ მფლობელად მიგვაჩნია. აბულასანი შოთამ, ალბათ, შეცვალა 1189 წელს. სხვა რეალური პიროვნება ამ თანამდებობაზე არ ჩანს. იგი თამარის სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას, ხოლო მის შემდეგ ის მიუღია სამცხის სპასალარს ყვარყვარე ჯაყელს.

თამარის ეპოქის საგაზიროს შესასწავლად მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნალკის ერთ-ერთი ეპიგრაფიკული ძეგლის, გუნია-ყალის წარწერას, რომელიც XII-XIII საუკუნის მიჯნით არის დათარიღებული. წარწერას ასეთი სახე აქვს: „სახელითა ღმრთისათა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარის და გიორგისათი მჭონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოსიყმა, კაჩესითა, ჯულაბაის მოჭირვებითა,

მაშინ იგი 1189 წელს, სრულიად ახალგაზრდა იქნებოდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ მის სახელს 1189 წლის ამბების ხსენებისას არ ახლავს არცერთი ეპითეტი, რაც უნდა ჰქონდეს „მხნე“, „მემართებელი“, „ერთგული“, „დიდად მამსახური“ და მეფეთა მიერ შეწყალებული მოხელე.

ასეთი ჩვეულებრივი რიგითი პიროვნება მალაქ თანამდებობას, მით უმეტეს, ვაზირობას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „ხელი“ მას მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. ყვარყვარე ციხისჯვარელის მიმართ ეს პირობაც გამოირიცხვია. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ დასკვნა ასეთი იქნება: 1190-იან წლებში ყვარყვარე ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესი იყო იქნებოდა. ვინ იყო ამ დროს საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი? ისტორიულ წყაროებში მეჭურჭლეთუხუცესად ცნობილი პირთა შორის შოთა რუსთაველი ერთადერთია, ვინც 1190-იან წლებში ამ „ხელის“ მფლობელად მიგვაჩნია. აბულასანი შოთამ, ალბათ, შეცვალა 1189 წელს. სხვა რეალური პიროვნება ამ თანამდებობაზე არ ჩანს. იგი თამარის სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას, ხოლო მის შემდეგ ის მიუღია სამცხის სპასალარს ყვარყვარე ჯაყელს.

თამარის ეპოქის საგაზიროს შესასწავლად მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნალკის ერთ-ერთი ეპიგრაფიკული ძეგლის, გუნია-ყალის წარწერას, რომელიც XII-XIII საუკუნის მიჯნით არის დათარიღებული. წარწერას ასეთი სახე აქვს: „სახელითა ღმრთისათა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარის და გიორგისათი მჭონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოსიყმა, კაჩესითა, ჯულაბაის მოჭირვებითა,



ფუძველი ჰქონდა, რადგან მისთვის ცნობილი არ იყო არცერთი წყარო, რომელიც დაადასტურებდა შალვას მანდატურთუხუცესობას. ამიტომ საყვარელი ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილს შეუძლებოდა ეჩვენა შალვას მანდატურთუხუცესობა და აღნიშნული ტექსტის ბუნდოვანება სწორედ შალვას ჩამატებით ახსნა. ჩვენი აზრით ტექსტიდან უნდა ამოვიღოთ ჭიბჭი. საქმე იმაშია, რომ ჭიბჭი გარდაცვლილი ყოფილა არა მარტო ბასიანის ომის დროს, არამედ უკვე 1201 წელს. ამას მოწმობს პარიჭის სომხური წარწერა, სადაც მანდატურთუხუცესად მოხსენიებულია ზაქარია მხარგრძელი.

ჭიბჭი რომ „ისტორიანი და აზმანის“ აღნიშნულ ტექსტში უადგილოდა ჩამატებული და ის არავითარი მენიხე არ ყოფილა ბასიანის ომში, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ თამარის ორივე ისტორიანის ტექსტში, იქ, სადაც აღნიშნულია უშუალოდ ბასიანის ბრძოლა, მენიხეებზე და თავისი პოზიცია სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზით ჩამოაყალიბდა.

პირველ რიგში ის შეეხო პარიჭის წარწერას, რომელიც მის გამომცემელთა მიერ 1201 წლით არის დათარიღებული და ნ. შოშიაშვილის მიერ დამონებულია ზაქარია მხარგრძელის 1201 წლიდან მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად. მისი აზრით, მკვლევარები არ დააკვირდნენ ერთ გარემოებას, რომელიც შეუძლებელს ხდის ზაქარია მხარგრძელის 1201 წ. მანდატურთუხუცესის პოსტზე ყოფნას.

პარიჭის წარწერაში ზაქარია მხარგრძელს

ისტორიანი და აზმანის: „... დაანყუეს რაზმი, სადა-იგი წინამძღოლად იყო ზაქარია მხარგრძელი და ახალციხელი შალვა და ივანე და სხუანი თორელინი“.

პროფ. შ. მესხია არ გაიზიარა ნ. შოშიაშვილის მოსაზრება ჭიბჭის 1201 წელს გარდაცვალებაზე და თავისი პოზიცია სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზით ჩამოაყალიბდა.



ლი დამწერლობით შესრულებული შემდეგი წარწერა:

1. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებით მეჭურჭლეთუხუცესი შალვა ძითა, ძმითა, მათითა ცოცხალთა ვაშენეთ წმინდაი ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა“.

2. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებითა ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმერთისათა და მკლავითა თავისითა შაძრუნა ყოველი სოფელი სპარსეთისა“.

II ეკლესია  
1. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებითა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმინდაი ესე საყდარი ჩუენ, ნიკოლას ძეთა. შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ, ღმერთო ყოველთაო, საყდარი დედისა ღმერთისაი.“

1. „ქ.ღმერთო გვირგვინოსანი მეფობაი გიორგისი, ლაქარნი და სამეფო დაიფარენ, დედაო ყოველთა მსხენლისაო“.

როგორც ვხედავთ, 1-3 წარწერებში მოხსენიებულია შალვა მეჭურჭლეთუხუცესი და შალვა მანდატურთუხუცესი. ცხადია, ეს ორივე შალვა ერთი და იგივე პირია: ორივე შალვას ჰყავს ერთი ძე და ერთი ძმა.

წარწერების გამომცემელ ვ. ცისკარიშვილს მიჩნია, რომ ეს შალვა ჯავახელია, ბექა სის შვილი, XIV საუკუნის მოღვაწე, ხოლო მეფე გიორგი კი გიორგი V ბრწყინვალე. პროფ. შ. მესხიამ დეტალურად განიხილა თავის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ყველა არგუმენტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იზიარებს ვ. ცისკარიშვილის შეხედულებას ამ საკითხზე.

აკად. დ. ბერძენიშვილის აზრით, განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა ან ჯავახელი ან თორელი, უფრო კი მკვლევარი უკანასკნელ თვალსაზრისს კენ იხრება, თუმცა საკითხს მაინც ლაღ ტოვებს.

ისტ. ნ. შოშიაშვილი თვლის, რომ წარწერებში მოხსენიებული შალვა თორელია, ახალციხელი და მოჰყავს მთელი რიგი არგუმენტები ამის დასამტკიცებლად. იგი თვლის, რომ წარწერებში მოხსენიებული მეფე გიორგი არის თამარის ვაჟი ლაშა გიორგი. მას მიაჩნია რომ წარწერებში მოხსენიებული შალვა მეომრული და მხედრული ქება-დიდება უფრო თორელს შეეფერება, ვიდრე ჯავახელს.

1981 წელს ისტ. გიორგი ოთხმეზურმა გამოსცა ნიგნი „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“. სადაც სხვადასხვა წყაროების შეჯერებით გაანალიზებულია XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისის ქართული ლაპიდარული წარწერები. მკვლევარი განძანის წარწერებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ წარწერებში მოხსენიებულ შალვა ახალციხელია და არა ჯავახელი. იგი ვგაძლევს თამარის მეფობის პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მფლობელთა ასეთ სიას:

1. ყუთლუ-არსლანი - 1178-1185 წწ.;
2. კახაბერ ვარდანის-ძე - 1185-1188 წწ.;
3. აბულასანი - 1185-1188 წწ.;
4. შოთა რუსთაველი - 1188-1202/03 წწ.;
5. შალვა თორელ-ახალციხელი - 1188-1202/3 წწ.;
6. ოვსიყმა - 1202/03 წ.-დან არა უგვიანეს 1220 წ.-მდე.

6. შოშიაშვილი XII საუკუნის მიწურულის და XIII საუკუნის მეჭურჭლეთუხუცესთა ქრონოლოგია ასეთ რიგზე მოჰყავს:

1. აბულასანი - 1191 წლამდე;
2. შალვა თორელ-ახალციხელი. - მისი მეჭურჭლეთუხუცესობა არ გადასცილებია 1207 წელს (ამ წელს ის უკვე მანდატურთუხუცესად ჩანს);
3. ივანე-ყვარყვარე ჯავახელ-ციხისჯვარელი (მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება) პირველად 1220/21 წ. ჩანს 1245 წლამდე;
4. მამურჩა (ჯავახელი) - 1245-1250 წლებს შორის;
5. გამრეკელ-თორელი - 1245-1250 წლებს შორის;
6. კახა თორელი - 1260 წლამდე;
7. სარგის ჯავახელ-ციხისჯვარელი - 1260 წლიდან.

როგორც ვხედავთ, იგი აღნიშნავს, რომ მეჭურჭლეთუხუცესთა აღნიშნულ ქრონოლოგიურ რიგში თავისთავალი ადგილი რჩება 1207-1220/21 წლებში.

ამდენად, თუ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე იყო და მეჭურჭლეთუხუცესობა ჰქონდა, ის სწორედ 1207-1220/21 წლებს შორის უნდა ვიგულისხმობთ ამ ხელის მფლობელად.

# „საქაჩოველოზე გამიჯნუხები“

სიამაყით შეირბა „რუსთაველის ნატურფალი“, გრძნობით აჩურჩულდა „ათასწორად მოქარგული და მოსირმული ბებერი მეციხოვნე“, „ქართლის ცხოვრების მემპტინანე“ მშფოთვარე მტკვარი.

თმოგვის ციხემ ხერთვისს გადასცა, ხერთვისმა კონტას თავს, შორეთს, ჩიტკიბეს. ფარად აღმართულმა ლომგულმა მთებმაც ერთურთს უჩურჩულეს – თინათინი მობრძანდებო... და, მობრძანდა ქალბატონი თინათინ მღვდლიაშვილი.

მობრძანდა „მეფურად, მედიდურად“ და თან მოიტანა „ჩვენი წარსული, ჩვენი ანემყო, ჩვენი ზეობა!“

28 სექტემბერს ასპინძას ესტუმრა „ლექის მანტია მოხვეული“, „საქართველოზე გამიჯნურებული“, „პოეზიის დედოფალი“, „მარტოხელა. მარტოსული, ქალბატონი“. ესტუმრა და თან განსაკუთრებული სიტბო და სიფაქიზე მოაყოლა.

მსმენელი დიდი გულისყურითა და გაფართოებული თვალებით მისწერებოდა პოეტ ქალს და ცდილობდა ამ სათნო, სანდომიან ლამაზ ქალბატონში დაენახა ის რაინდული სული, რაც ძალას აძლევს მის ლექსებს, ერთგვარ საბრძოლო მოწოდებებს.

სალამოს, დანყებისთანავე, ყველაფერი ნათელი გახდა. ერთმანეთს ცვლიდა ქალური სიფაქიზე და რაინდული გაუტყებლობა, სიმტკიცე და მორჩილება, სიმკაცრე და თავმდაბლობა, გულჩვილობა და სიამაყე.



ქალბატონმა თინათინმა „პოეზიის კონცონი“ გააჩალა, „პოეზიის“ ხმალი ალესა და „პოეზიის ზღვაში“ გაგვიყვანა.

მოჯადოებული მასურბელი დიდხანს უკრავდა ტაშს, არ წყდებოდა ოვაციები, ავტოგრაფების ჩამორთმევა...

მადლობა თქვენ, ქალბატონო თინათინ, სტუმრობისთვის, სიყვარულისთვის, ამ ლამაზი საღამოსთვის, რომელიც გაგვყვება ტკბილ მოგონებად, მადლობა იმისათვის, რომ არსებობთ, ვიმედოვნებთ, რომ: „ღვთისმშობელი ავარიდებს ავდარს და მფარველი ანგელოზის ფრთები“...

თინათინ ნითლანაძე, ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგი

## ღუმიჯნა ბერიძე

### ამ გაზაფხულზე წავალ ჯავახეთს

ამ გაზაფხულზე წავალ ჯავახეთს, კიდევ ავივლი „დანკლის თავალებს“, როგორც არნივის ბუდიდან ბარტყი, – გადვყვდები თავზე ქარაფებს!

კლდე აფთარივით ნამომართულა, ნინ მიდევს გრძელი, – გრძელი გზა-შარა, „კოვზის წყაროსთან“ კვლავ ჩავიშობლებ, მოვეფერები, – ხომ არ დამშრალა?

ამ გაზაფხულზე წავალ ჯავახეთს, კლდის ცივი წყარო ისევ მწყურვია, კვლავაც ავივლი „დანკლის აღმართებს“, იქ ჩემი მზე და გაზაფხულია!

მერე ისევე დავიზივები, თავქვე ნამოვალ სრიალ-სრიალით, შემომიხევევა სველი ბალახი, ფეხი გასხლტება ქალამნიანი.

კლდე გასიპულა ცას ასვეტილი, ვეღარ მაშინებ ხრამო, ქვიანო! მინდა გავფრინდე, როგორც არნივი,

მხარი გაგკრა და აგამხიანო!

ამ გაზაფხულზე წავალ ჯავახეთს, და გადავფურენ დანკლის მთა-გორებს, მოვეფერები გაშლილ ველ-მინდვრებს, ჩემს სიჭაბუკეს კვლავ რომ მაგონებს!

\*\*\*

უიჯენ...

უიციენ,<sup>1</sup> რამხელა გული ჰქონია ამ გოგოს, მკლავი გაშალა და მტკვარი გადაცურა, სახე შეიმშრალა, თმები გადაყარა, მოღზე ჩამოვდა და კაბა გაიწურა...

მერე გადმოხედა, – გული ამოუჯდა, ცრემლი გამოიყარა, ტუჩები გაელურჯა. თვალი ამარიდა, ალბათ, შეეშალა და გული ამოუჯდა...

რა გოგო იყო – პატარა, ერთი ციდა, თითქოს ნამი იყო, – დაღვრილი მალალ ციდან! ტალღები გადათქრა, მტკვარი გადმოცურა, თვალი გამისწორა, ფიქრი მომაციალა...

მერე ნასვამივით ფეხზე ნამოიჭრა, მტკვარში გადაეშვა, ხელი დამიქნია... მე მის სიახლოვეს

<sup>1</sup> უიციენ – შებრალება-შეცოდების შორისდებული.

თითქოს არად ვთვლიდი, თვალს ვაგაყოლე, კოცნა დავადევნე. იქვე ჩავიშობლებ, ჩუმად ავქვითინდი...

ეს, რა გოგო იყო, – გოგო ერთი ციდა, თითქოს ნამი იყო მოსული მალა ციდან!

\*\*\*

ისევ ჩამთვლიმა, ჩამეძინა, მოდის ზამთარი, ისევ მომემის შორეული, შენი ხმა ლბილი, ო, ეს ფიქრები უცაბედი და მინავლული... ბილიკთან ვდგავარ, გითვალთვლებ, – როდის ჩავივლი...

ისევ შრიალებს მხრებგაშლილი ტყემლის ძველი ხე, ასე მგონია, გუშინ ვითხარ ჩემი სათქმელი, ვერ დავივიწყე ის დღე, როცა ხელი შეგახე, ვდგავარ და გიციქვრ, ნახვდი და აღარ დაბრუნდი.

ცაც ისევ დარჩა როგორც იყო მთის თავზე მდგარი, ქარმაც წაილო, წამოხეტია რაც რომ მეხდა, ო, ღმერთო ჩემო, როგორ სწრაფად გასულა ეს დღეც, თვალის გახელას ვეღარ ვასწრებ, – უკვე დაღამდა.


### ნოვალ ბარათია

ვიდრე მივიდოდეთ იმ დასკვნამდე, რომ გავაკეთოთ ასეთი განცხადება, უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულება ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებასთან დაკავშირებით, რის ირგვლივაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მას შიდა ფაქტორიდან მომდინარედ მიიჩნევს, ზოგი – გარე, ზოგიც – ორივე ფაქტორის არსებობას ითვალისწინებს.

თითქოსდა კარგა ხანია შეწყდა კამათი ამ თემასთან დაკავშირებით „შიდა ფაქტორის“ გამზიარებელთა სასარგებლოდ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკითხი მაინც გადასინჯვას საჭიროებს.

ქართული მწერლობა, რომელიც სათავეს V საუკუნიდან იღებს, XI-XII საუკუნეებამდე საეკლესიო ხასიათისა იყო. მხოლოდ ამის მერე იწყება, მის გვერდით, საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება. საერო მწერლობის გაჩენა ქართულ ლიტერატურაში მოულოდნელ მოვლენად იქნა მიჩნეული არა მარტო ქართულ, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს მწერლობისთვის. მეცნიერთა მიერ ის გამოიკვლია და იქნა აღიარებული და დაიწყო ამ ფენომენის წარმოშობის მიზეზთა ძიება, რამაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგმა ის შიდა ფაქტორიდან მომდინარედ მიიჩნია, ზოგმა – გარე, ზოგმაც – ორივე ფაქტორის მნიშვნელობა გაიზიარა შეფერვებულად.

გარე ფაქტორის მომხრენი, ნიკო მარი და სხვები, ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას სპარსული



მარტო სულიერი, არამედ მატერიალური, ხორციელი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ერთი სიტყვით, ჰუმანიზმი, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში შედარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენ წარსულში, ყოველ შემთხვევაში, XI-XII საუკუნეებიდან ფაქტია“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1945: 5).

მეცნიერი ამ პროცესში, უპირველეს ყოვლისა, დიდ როლს ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ამ დროისათვის ჩამოყალიბებულია ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც უკვე საეკლესიო პირთაგან გადავიდა საერო წრეებში და დაუახლოვდა სასაუბრო მეტყველებას.

ასევე მნიშვნელოვანია მისთვის ის, რომ შეიქმნა მონარქიული სახელმწიფო და ეკლესია იძულებული გახდა ხელმძღვანელი როლი, რომელიც მან წინა პერიოდიდან მოიპოვა, დაეთმო სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისთვის“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1945: 14).

მკვლევარი ხაზს უსვამს

პირველი: „XII საუკუნის ქართული საერო პოეზიის მკვლევარ ლიტერატურათმცოდნეებს რომ შესძლებოდათ გაერკვიათ ამ პერიოდის ქართული პოეზიის ხალხური საფუძვლები და მოექმნათ პოეტიკაში ხალხური ფორმების გამარჯვების ახსნა, მაშინ ნაკლებად დასჭირდებოდათ სხვა ქვეყნებიდან მომდინარე გავლენის ახსნა“ (შ. ნუცუბიძე, რუსთველი და არმოსავლური რენესანსი, შრ., ტ. 4. თბ., 1976: 374).

მეორე: „ქართული რენესანსის იდეოლოგიური ხაზი ეფრემ მცირეს სახით, რომელმაც საქართველოში ააღორძინა არეოპაგიტული ტრადიციები, და იოანე პეტრიწის სახით, რომელმაც ხელახლა გადაამუშავა არეოპაგიტის საფუძველზე მისტიკური ნეოპლატონიზმის მოძღვრება, რომელსაც ნ. ი. მარმა საოცარი ინტუიციით უწოდა „ქართული ნეოპლატონიზმი“, უკვე ჩამოყალიბებული იყო. აღმოსავლური რენესანსის იდეოლოგიური ბაზისი განახლებულ და განვითარებულ იქნა ქართული სინამდვილის პირობებში XII საუკუნის დასაწყისში (შ. ნუცუბიძე, რუსთველი და არმოსავლური რენესანსი, შრ., ტ. 4. თბ., 1976: 389).

მესამე: „ჩვენი გამოკვლევის მიზანია იმის გამოვლენა, რაც დაფარული აღმოჩნდა ბურჟუაზიული მეცნიერების „სიბეცის“ გამო. აქ, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტზე უნდა იქნეს მითითებული, რომ ლიტერატურული რენესანსი ირანულ-არაბული კულტურის სფეროში ჩაისახა, როგორც აღინიშნა, XII საუკუნის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების ორბიტაში მოქცეულ ქვეყანაში“ (შ. ნუცუბიძე, რუსთველი და არმოსავლური რენესანსი, შრ., ტ.

## „პოეზიის სფეროში“ – უპირველი ცხი

მწერლობის გავლენით ხსნიდნენ, ხოლო – შიდა ფაქტორისა, კორნელი კეკელიძე და სხვები, – ეროვნული ნიადაგიდან.

ნაწილი მეცნიერებისა კი ი. ჯავახიშვილი იუსტ. აბულაძე და სხვები კი ამ ვითარებაში ორივე ფაქტორის როლს მიიჩნევენ უმთავრესად.

ნიკო მარმა თავისი მოსაზრება 1899 წელს გამოაქვეყნა, რომელიც 1917 წელს მოქვეყნებულადაც მიიჩნია (Н. Марр, Грузинская поэма „Витяз в тигровой шкуре“ и новая историко-культурная проблема (ИАН), 1917: 23), ხოლო 1925 წელს მან ქართულ მწერლობაზე სპარსულის გავლენას თურქული ლიტერატურის ზეგავლენაც მიუმატა და ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების ხანად მონიშნა ბატონობის პერიოდი გამოაცხადა. 1928 წელს კი ფრანგულად გამოცემულ ნაშრომში – „ქართული ენა“ – მეცნიერმა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება წინაქრისტიანულ პერიოდს დაუკავშირა. აღნიშნული ნაშრომი მან 1936, ხოლო შემდეგ 1949 წელს რუსულადაც გამოაქვეყნა.

ამგვარად, ნიკო მარი ბოლომდე ერთგული არ აღმოჩნდა თავისი პირვანდელი თეორიისა და თანდათან ეს კამათიც ჩაცხრა, რომელიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით თითქმის ნახევარი საუკუნე არ შენელებულა. საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ქართული საერო მწერლობის შიდა ფაქტორის ძალით აღმოცენება-განვითარების შესახებ.

ამის შემდეგ კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ გამონათქვამებს ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებასთან დაკავშირებით სპარსული ლიტერატურის გავლენის შესახებ, დღემდე იგი სადავოდ არავის გაუხდია.

ქართული საერო მწერლობის ასეთი შეფასება (მის წარმომავლობა-აღმოცენებასთან დაკავშირებით) საერთოდ არ ტოვებს ადგილს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების არსებობისთვისაც კი.

როგორც აღვნიშნეთ, ვინც ამ პრობლემას პირველი შეეხო, ნიკო მარი იყო. მკვლევარი ქართულ მწერლობას არა იზოლირებულად, არამედ დასავლურ და აღმოსავლურ მხატვრულ სამყაროსთან მიმართებით განიხილავს. მისი აზრით, მართალია, ქართულ სასულიერო მწერლობაში მოიხსენიებიან დასავლელი – ბერძენი ავტორები, მაგრამ ეს სასულიერო სახელმძღვანელოებიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან სასულიერო პირთაგან წარმართული ლიტერატურით დაინტერესება მოსალოდნელი არც იყო. აღმოსავლურ-სპარსულ სამყაროსთან კი ქართველები არა სკოლების საშუალებით, არამედ პირდაპირ

იყვნენ დაკავშირებული, რამაც გამოიწვია ეს გავლენა. მეცნიერი აცხადებს, რომ: „В памятниках древне-грузинской светской литературы даже периода так называемого Золотого века, мы имеем продукты всепоглощающего персидско-кого влияния“ (Н. Марр, „Возникновение и разцвет древне-грузинской светской литературы“, ЖМНП, С-П., 1899. 1899: 251).

თუმცა, ნიკო მარი ბოლომდე ერთგული არ აღმოჩნდა თავისი თეორიისა.

ივანე ჯავახიშვილიც იმ აზრს იზიარებს, რომ „თავდაპირველად საერო მწერლობა საქართველოში სპარსული პოეზიის გავლენით და თარგმანებით დაიწყო“ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965: 367).

იუსტ. აბულაძის შეხედულებითაც „ქართული საერო მწერლობის წარმოშობის კვანძი საუკეთესოდ შეიძლება გახსნილი იქნას სწორედ ირანულ-ქართულ შეჯვარების ნიადაგზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ისტორიის დასაბამიდან დაწყებული მე-12, მე-13 საუკუნეთა მიჯნამდე, ე. ი. კლასიკური მწერლობის უძველესი ნიმუშების შექმნამდე“ (იუსტ. აბულაძე, „მაჰნამეს“ ქართული ვერსიების წარმოშობისათვის, თსუ შრ., ტ. 53, თბ., 1954: 35).

სხვა შემთხვევაში, როცა იგი ეხება აღნიშნულ პრობლემას, უფრო აზუსტებს სათქმელს:

„სპარსული ლიტერატურის გავლენა ბუნებრივად შემოიჭრა ქართული საზოგადოების კარისკაცთა უმაღლეს წრეში. მწერალთა განსაკუთრებული ყურადღება მოიპოვა სპარსული ლიტერატურის ეპიკურმა სადეკამირო ამბებმა და რომანტიკულმა სიუჟეტებმა. ამიტომაც ამ წრიდან გამოსული საერო მწერლები იწყებენ ჯერ თარგმანებით, შემდეგ კი თვითონ წერენ სპარსული ნიმუშების მიბაძვით. ამნაირად ამ კლასიკურ ეპოქაში ჩვენ ვპოულობთ იმდროინდელი სპარსული მწერლობის ყველა საუკეთესო ნიმუშს“ (აბულაძე: 1967: 95).

თუმცა, არც ი. ჯავახიშვილსა და არც იუსტ. აბულაძეს ეს პრობლემა საგანგებო კვლევის საგნად არ გაუხდიათ.

ახლა კი მათ შესახებ, რომელთაც მიიჩნევს, რომ ქართული საერო მწერლობა აღმოცენდა და განვითარდა შიდა ფაქტორის გამოიხიბით.

აი, რას წერს კ. კეკელიძე: „მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანები შეპოჭილი იყვნენ საეკლესიო სკოლასტიკური ბორკილებით, ქართველებმა საეკლესიო მწერლობასთან ერთად განავითარეს მდიდარი საერო მხატვრული მწერლობა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ჩვეულებრივი ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, მისი არა

აგრეთვე იმას, რომ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოლონიერებამ ერთი ოპტიმისტური განწყობილება წარმოშვა, სამეფო კარი გადაიქცა კულტურის ცენტრად, რასაც მოჰყვა მწერლობაში ახალი თემატიკის შემოჭრა და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ მეცნიერი წერს: „საქმე გვაქვს მხატვრული შემოქმედების ერთს მთლიან განუწყვეტელ პროცესთან, მხოლოდ მეთორმეტე საუკუნემდე ეს შემოქმედება მიმდინარეობდა რელიგიური დროშის ქვეშ, მეთორმეტედან კი ეფილურ-რაინდული, ისე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ეს შემოქმედება გადატეხილია ბურჟუაზიულის, ხოლო მეოცეში სოციალისტურის პრიზმაში. ეს კი სხვადასხვა, ერთიმეორისაგან განსხვავებული ეპოქების საქმეა“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1945: 5).

ამგვარად, კორნელი კეკელიძე ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას მხოლოდ შიდა ფაქტორიდან გამომდინარედ მიიჩნევს.

რა თქმა უნდა, ის ფაქტორები, რომლებიც არგუმენტებად მოჰყავს მეცნიერს, აუცილებელი წინაპირობაა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებისთვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, არასაკმარისი იმისათვის, რომ ასე ერთბაშად ეფეთქა მას მეთორმეტე საუკუნის ქართულ თუ, საერთოდ, ქრისტიანულ სამყაროს ლიტერატურაში.

ეროვნული ნიადაგიდან გამომდინარედ თვლის ქართულ საერო მწერლობას პავლე ინგოროყვაც, რომელიც მის ფესვებს უფრო ღრმად, წინაქრისტიანულ ხანაში ეძებს. აი, რას წერს იგი: „ქართულ ენაზე ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე უკვე არსებულა ძველი საერო მწერლობა, რომელსაც იმდენად ძლიერი ტრადიციები და ღრმა ფესვები ჰქონია, რომ მისი აღმოფხვრა და განვითარების საბოლოო შეფერვება ვერ შეძლო უფრო გვიან ხანაში გადმონერგილმა ქრისტიანულმა მწერლობამ“ (პ. ინგოროყვა, რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთველის კრებული, თბ., 1937: 12).

ასევე ეროვნული ფესვებიდან გამომდინარედ მიიჩნევს შ. ნუცუბიძე ქართულ საერო ლიტერატურას. მოვიყვანთ სამ ამონარიდს მეცნიერის ნაშრომიდან „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, სადაც მკვლევარი აღმოსავლურ რენესანსს ქართული ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების მხოლოდ დასავლურ სამყაროსთან კავშირში ხედავს და, უფრო მეტიც, არაბულ-ირანულ რენესანსს ქართული რენესანსიდან გამომდინარედ მიიჩნევს, რაც ჩვენთვის სრულიად გაუგებარია:

4. თბ., 1976: 387).

პ. ინგოროყვასა და შ. ნუცუბიძის მოსაზრებას ქართული საერო მწერლობის ეროვნული ნიადაგიდან მომდინარეობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ამყარებს ა. სილაგაძე თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა“, სადაც მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ქრისტიანულ ლიტერატურას დახვდა არა მხოლოდ ლექსთსა და თავისი მოცემული საზომებით, რაც თეორიულად მხოლოდ ფოლკლორის კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო, არამედ აგრეთვე კონკრეტული ლიტერატურული – სწორედ ლიტერატურული ტრადიციები“ (ა. სილაგაძე, ძვ. ქართ. ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997: 139).

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის ირგვლივ კიდევ მრავალ მეცნიერს აქვს გამოხატული მოსაზრება. მათზე სათითაოდ შეჩერება შორს წაგვიყვანდა და ამ შემთხვევაში არც აუცილებლობას წარმოადგენს.

საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხრეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს ალ. ბარამიძე 1966 წელს გამოცემულ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის მეთაურ ნეროლში „საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება“:

„ნ. მარის ადრინდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი იმიდევინო ჰყავდა). სადავო არ არის, რომ მისი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“ (ალ. ბარამიძე, საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება, ქართ. ლიტ. ისტორია, თბ., 1966: 8).

შევნიშნავთ, რომ ეს კრებული დღემდე სახელმძღვანელო წიგნად ითვლება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რამდენად არის მისაღები გაბატონებული მოსაზრება ქართული საერო მწერლობის მხოლოდ შიდა ფაქტორის ძალით აღმოცენება-განვითარებასთან დაკავშირებით, როგორც ამას მიიჩნევენ ქართული მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც არიან კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ბარამიძე და სხვები.

და აქ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ეჭვს, რასაც გამოთქვამს კ. კეკელიძე ამ პრობლემასთან დაკავშირებით:

„ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები



მომნივდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამოხატულად და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ (კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, II, თბ., 1981: 12).

დაიხ, თუ რა არის ის სხვა პირობა, სწორედ იმასთან დაკავშირებით მოგახსენებთ ჩვენს აზრს.

\*\*\*

მეშვიდე საუკუნეში არაბები გამოჩნდნენ მახლობელ აღმოსავლეთში.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანიურმა ირანმა, არაბთა შემოსევის შედეგად უცებ დაკარგა ცამეტ-საუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენა – არაბული (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამპყრობთა ხელში, ყველაფერი შეინარჩუნეს).

ჩაბარდა წარსულს ირანის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას სამანიდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას (Xს.), ირანს, სეფიანი შაჰების მოსვლამდე (1501წ.), დაკარგული ჰქონდა.

არაბებმა დაიწყეს მიღება ცივილური სამყაროს მონაპოვებისა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან.

რად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიპყრო არა მარტო დამპყრობი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები.

სპარსულ ენას მიეცა განვითარების-



თან ერთად, ღაზნავი გადაინაცვლა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის სატახტო ქალაქი ისპაჰანი იყო, მისი გადაინაცვლება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა.

შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე აღის სპარსული ლექსი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება მთელი სპარსული პოეზიისათვის.

\*\*\*

რა ხდება ამ დროს საქართველოში?

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ დავით III კურაპალატიდან (IXს.) დაწვეული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავ-

# სიძინოზასიის ღაღღაღა

ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

ამგვარად, ირანელები, ასე ვთქვათ, გაარაბდნენ, მაგრამ თურმე ერთი შეხედვით. მათ გარეგნულად მოუსხამთ მხოლოდ არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ მათში არ ჩამქრალა ეროვნული სულისკვება და, აბასელთა ამირების ნომინალურ მმართველებად ქცევასთან ერთად, მალე ირანულმა ეროვნულმა დინასტიებმა წამოაწყვეს და საბოლოოდ, როგორც ჯეიმს დარმსტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად ტახტზე სპარსული ენაც ავიდა“ (ჯ. დარმსტეტერი, სპარსული პოეზიის სათავეებთან, თარგმანი ფრანგულიდან ბ. ბრეგვაძისა, თბ., 1985: 9).

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დაგას დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

საუკუნოვანი არსებობის დასასრულს, სამანიდების დინასტია, მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა თურქმა, მაჰმუდ ღაზნავიმ დაამხო.

თურქები ანტიირანული განწყობისანი იყვნენ. მაჰმუდ ღაზნავიმ სცადა სპარსულის ნაცვლად ისევე არაბული ენის დაბრუნება ირანში, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების გადაყვანა სხვა ენაზე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს, ღაზნაველები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები და მათ სმენას ისედაც საამოდ ელამუნებოდა ტკბილმზოვანი სპარსული ყასიდები, რამაც, ერთგვარად, ხელი შეუწყო სპარსულის დარჩენას თავის ფუნქციებში.

მაჰმუდ ღაზნავიმ ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი და სპარსული ენა, რითაც სპარსულ ენას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმცა ნამდვილი ასპარეზი მას, თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში მიეცემა.

ნახევარ საუკუნემდე გასტანეს ღაზნაველებმა, რომლებიც მერე თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს.

თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სცადეს თურქულის ჩანაცვლება, სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც მძიმე პროცესი აღმოჩნდა და სპარსული ენა დატოვეს თავის ფუნქციებში.

შეიძლება ითქვას, აქედან იწყება ახალი ერა სპარსული ლიტერატურის ისტორიაში. ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან. მალე ისინი მოედნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს, შექმნეს იმპერია და სპარსულ ენას, ძალაუნებურად, არნახული ასპარეზი მიეცა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პოლიტიკუ-

ვის სრულიად დიდი ასპარეზი.

ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, ხოლო არაბულ სალიტერატურო ენას – სპარსული. შესაბამისად, არაბულ-მუსლიმურ კულტურას ჩაენაცვლა, ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურული წარსული. ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შექონდა რაღაც თავისი სპარსულ-მუსლიმური კულტურის საერთო ოკეანეში. სწორედ ამიტომ „გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეულ კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთავადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება, მწერლობა“ (ჯ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, იბ. კრებ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957: 137).

აი, რატომ არის სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურა მსოფლიოში სახელგანთქმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულენოვან მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლავები, როგორც არის ნიზამი განჯელისა (XIIIს.) – აზერბაიჯანში, ჯეღალ ედ-დინ რუმისა (XIIIს.) – თურქეთში, ხსორო დეჰლევისა – ინდოეთში (XIII-XIVს.), აბდ-ორ-რაჰმან ჯამისა (XVს.) – ავღანეთში და სხვა.

„XI საუკუნეში არაბული ელემენტის უპირატესობა შეიცვალა სპარსული ელემენტის უპირატესობით“. „ამიერიდან „სპარსული“ მაჰმადიანსაც ნიშნავს, „სპარსული“ მაჰმადიანურს, „სპარსეთი კი სამაჰმადიანოს“ (ჯ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა, თბ., 1980: 12).

ამ დროს „სპარსულ ამბავში“ („ესე ამბავი სპარსული...“) მოსაწონი ამბავი იგულისხმება.

მხოლოდ, მონღოლთა ხანიდან, ტერმინს სპარსი, ჩაენაცვლა თ ა თ ა რ ი, რამაც შეზღავდა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა მას ქართველთა წარმოდგენაში სპარსელთა, როგორც კულტუროსან ხალხთა მიმართ.

პირველი ირანული დინასტიის წარმომადგენლებს – სამანიდებს (Xს.) ტახტი შუა აზიის ქალაქ ბუხარაში ედგათ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელმაც, ხელისუფლებაში ღაზნაველთა გამოჩენას-

დასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულგრილად არ დაუწყებდნენ ცქერას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწყება მათი თარევიც.

ოთხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეშა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1122 წელს დავითის მიერ თბილისის არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

იმ მრავალ გარდამტეხ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოეყოფით ერთს – ისლამურ სამყაროსთან მის დამოკიდებულებას, რაც გამოიხატა ტოლერანტიზმისა და შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებაში, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურული პროცესების განვითარებაში.

ტოლერანტიზმს მოჰყვა ის, რომ მუსლიმებს შეეძინათ იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე მათ ჰქონდათ მუსლიმურ ქვეყნებში, რაზეც ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარაბი: დავით IV-ემ „შიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ [თვით] მუსლიმებთანაც კი“;

ალ-ჯაუზი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარანკობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატებსა და მუაზზინებს“;

ალ-ფარაბი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მევე (დემეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ“ (ჯ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995: 242).

შირვანთან მჭიდრო პოლიტიკურ და დინასტიურ ურთიერთობაზე დამყარებულ ნათესაურ ურთიერთობას (დავითს ქალიშვილი თამარი დაქორწინებული ჰყავდა შირვან-შაჰზე) კი მოჰყვა ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის კულტურულ ურთიერთობათა დამყარება, კერძოდ, შირვანის გზით, დიდი სპარსული ლიტერატურის შემოღინება ქართულ მწერლობაში.

\*\*\*

შირვანშიც ისე თარეშობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველოში, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხადა შირვანშაჰები.

თურქ-სელჩუკთა მიერ დღევანდელი აზერბაიჯანის დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომის მოსახლეობის ასიმილირება თურქებთან, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქული ჩანაცვლება.

სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომლის ადგილიც, თურქ-სელჩუკთა გამოჩენიდან, დაიკავა სპარსულმა.

ისე როგორც ირანში, საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ქუთაისიდან თბილისში ადგილმონაცვლეობას მოჰყვა კულტურის ცენტრის ადგილმონაცვლეობაც, რის გამოც ქართულ-სპარსული ლიტერატურის ცენტრები გეოგრაფიულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

იმასაც თუ გავითვალსწინებთ, რომ თბილისიდან ორასიოდ კილომეტრით დაშორებული შირვანი ამ დროს საქართველოს ვასალური ქვეყანაცაა, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთდაახლოება.

ამავე დროს, დავით მეფემ, რამდენადაც, ქვეყნის დამოუკიდებლობით, პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ კულტურას, კერძოდ, დიდ სპარსულ ლიტერატურას, რითაც მსოფლიოში მიმდინარე საერო ლიტერატურული პროცესების მონაწილე გახდა ქართული მწერლობა.

ნისქეილის ღარზე მიშვებული წყალიც დავით დაიწყო ამ დროს შემოღინება ქართულ მწერლობაში მსოფლიო მნიშვნელობის სპარსული ლიტერატურის ნიმუშებმა.

სამწუხაროდ, იმ მრავალ ლიტერატურულ ქმნილებათაგან, რომელიც შემოვიდა ამ დროს ქართულ ლიტერატურაში, მხოლოდ „ვისრამიანის“ უზადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე. დანარჩენთა არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (იგულისხმება ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამისა და ონსორის პოემები, „ქილილა და დამანა“...) ისტორიულმა წყაროებმა თუ შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები.

სწორედ ამ პირობებში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი“, ასე ვთქვათ, ნაზავი სპარსულ-მუსლიმური „ოკეანისა“ და ქართულ-ქრისტიანული „კუნძულის“ ჰავისა.

გადავხედოთ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, სადაც პოემები ან არის აღმოსავლური, ან დასავლური.

ერთადერთია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ორივეს მოიცავს. მისი უნიკალურობაც სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.

ამგვარად, შეგვიძლია განვიცხადოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის გვირგვინი ორი კულტურის – სპარსულ-მუსლიმურისა და ქართულ-ქრისტიანულის ურთიერთ გადაკვეთისა.

დასასრულს დავებურნდეთ ჩვენს მიერ ზემოთ მოხანილ ციტატას კ. კეკელიძიდან: „ის, რაც საეკლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები მომნივდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამოემუღავნა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ (კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, II, თბ., 1981: 12).

დაიხ, ის „რაღაც სხვა პირობა“, რომელსაც გრძნობდა სულმანათი მეცნიერი, სწორედ სპარსულ-მუსლიმურ და ქართულ-ქრისტიანულ ცივილიზაციათა დიალოგის ოქროს ჩარჩოშია საძიებელი.

### ვახტანგ იმამყაძე

მეთორმეტე საუკუნის ბოლო და მეცამეტე საუკუნის დასაწყისი (1184-1213 წწ.) საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანად“ ნოდებული პერიოდი, რომელიც, მემკვიდრეობა და ისტორიის სპეციალისტთა აზრით, განუზრუნავდებოდა უკავშირდება თამარის სახელს. ამ წლებში, და მანამდე, დავით აღმაშენებლის მეფობიდან რუსუდნ დედოფლამდე, საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა იყო იმ პერიოდის მსოფლიოში ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამშობლო სწორუპოვარი ქვეყანა იყო, მაგრამ ამ ეპოქაზე საფუძვლიანი მხატვრული ნაწარმოები ჯერ კიდევ არა გვაქვს. მტნაკუნებდა, ამ მხრივ, აღსანიშნავია შალვა დადიანის „უბედური რუსი“, რომელიც უშუალოდ უკავშირდება თამარის ცხოვრებას და, ამდენად, იური ბოგოლიუბსკის ბედის ამსახველი რომანი იურისთან კონტექსტში ასახავს ქვეყნის მდგომარეობასა და თამარ მეფის პიროვნებას, რომელიც, ფაქტობრივად, ნაწარმოების მთავარი გმირია, მასთან არის დაკავშირებული თითქმის ყველა ეპიზოდი და ყველა პერსონაჟის მოქმედება.



რომანი თამარის მეფობის 3-4 წლის პე-

## თამარ მეფის სამეფო ხარი შალვა დადიანის რომანში

### „უბედური რუსი“

როდღე მოგიტოვრობს, მაგრამ ეს რამდენიმე წელი მნიშვნელოვანი იყო როგორც მეფის პირადი ცხოვრებისთვის, ისე სახელმწიფოს მთავრებისათვის. სამეფო ძლიერია, არანაირი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემა არა აქვს, მაგრამ გადასასწავლია თამარის თანამეცხედრის საკითხი. ეს დიდმნიშვნელოვანია ქვეყნისთვისაც, მეფის ოჯახისთვისაც – ვინ იქნება სასიძო?... ეს კითხვა დარბაზის ყველა წევრსა და ყველა ქართველს ანუხებდა. ის, ფაქტობრივად, თანამეფე იქნება ანუ სამეფოს მართვაში პირველ-მეორე ავტორიტეტი და სტატუსითაც იგი, პრაქტიკულად, მეფეა. ცხადია, თამარზე წინ ის ვერ დადგებოდა, რადგან თამარის სიბრძნე, გამოცდილება, გონიერება და მართვის ნიჭი ბევრად აღემატებოდა თავის თანამედროვე ხელისუფლებას და დარბაზის წევრებს. ამასთან, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საეკლესიო მსგავსებებში მორის და ერის სათავეებზე მუდგო იყო. იგი გულმოდგინედ და გონიერად მმართველია. ეს კარგად ჩანს მათი ანგებულებით და შალვა დადიანის რომანშიც, ამას ყოველთვის მეფეც აღიარებს, ის ალფრედოვანებული საქართველოთი და თამარით. ზანქარ ზორაბაძელთან საუბარში იგი ამბობს, რომ თამარის ტახტზე ასვლის დროს იყო საქართველოში მისალოცად: „თქვენი მე ნაველ, მიწადა და საქართველო მენახა, ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ვაჟკაცები სისხლსა ივრიან. ვნახე და დაბრუნება აღარ მინდოდა. ოოჰ, რა ქვეყანაა! იმიტომ არის, რომ ჩვენების უმეტესობა აღარ ბრუნდება. იქვე ბინადგება, ირთავს ცოლს. მამულს იძენს, ქართველებმა... რას ამბობ, ჩვენი სადა ვცხოვრობთ, რა შედარებაა! მზიანი ქვეყანა, მდინარი, ღამაზი, მართლა რომ სამოთხეა და აი, ამ სამოთხის საუკეთესო ანგელოზი თამარია“.

ზანქარის მიზანია იურის წამოყვანა თბილისში თამარის საქმრად. ეს თბილისელი სოფლები ახლო კავშირშია სამეფო კარის ყოველდღიურ წარმოების პირებთან: თბილისის ამირა აბულ-ასანთან და სხვებთან. ისტორიული წყაროებისა და შ.დადიანის რომანის მიხედვით, რუსის ჩამოყვანა საქართველოში სომეხ სოფლებთან და ყოველ მაღალჩინოსანთან ჩანაფიქრი იყო. ვაჭრობა სავაჭრო მსაქმეების გაფართოვება უნდოდათ, ხოლო ყოველგვარ თავიანთ მხარეში, ყოველგვარ დაზარდლი უფლისწული ერთიან ბიზანტიელ, სპარს, ოსმალ თუ არაბ სასიძობებს.

ობიექტური შეფასებით, იური მიუღებელი უნდა ყოფილიყო ქართული სამეფო კარისათვის, ის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი რომ იყო, ეს არაფერს ცვლიდა. ანდრია მოკლეს ნოვგოროდის მთავრებმა და დევნილი იური ყოველგვარად პოლიტიკაში გაიზარდა. უსამშობლო, უსახლკარო, უპატრონი ბიჭი, რომელიც ტყის ყაჩაღურ ცხოვრებასა და ნადირობასა მიჩვეული, ის არა მარტო თამარის ქმრობის შესაფერისი არ იყო, არამედ, საერთოდ, ერთი რომელიმე სოფლის გამგებლადაც არ ივარგებდა. მას მეფური აღზრდა არ მიუღია, კუზმა ზრდიდა მას, მაგრამ არა მეფედ, არამედ, როგორც თავისი მთავრის ობლად დარჩენილ შვილს. ეკლესია მხარს უჭერს იურის, როგორც ქრისტიან უფლისწულს, რა თქმა უნდა, ჩვენ მათომადიდებელი სოლიერი მამები მას მუსლიმ უფლისწულზე მაღლა დააყენებდნენ. ეკლესიისთვის ქრისტიანული რწმენა მთავარი, საერო საქმე მეთრეხარისხოვანია მისთვის. ამდენად, საქართველოს ქვეგამხედველებმა ყველაფერი გათვალეს საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად და მიზნის მისაღწევად. დიდებულთა თვალთა კი ტანად მოსული და კარგი აღნაგობის რუსი მოსანონი და მისალმობი იქნებოდა. ესეც გათვლილი აქვს ზანქარ ზორაბაძელს. მისი აზრით: „ქართველებს თვალში აქეთ ჭჭუა! შეხედავენ

– ვაჟკაცია, იამებთ. ვაჟკაცობას ძალიან აფასებენ“. მან კარგად იცის ქართველთა ფსიქოლოგია, ხასიათები, გემოვნება და ამ ცოდნას იყენებს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მატიანეში ფიქსირდება რუსისა და თამარის დანიშნვა და არა ქორწილი. როგორც ჩანს, მეფის და ქვეყნის ერთგულმა დიდებულებმა არ იჩქარეს ჯვრისწერა და გარკვეული დრო მისცეს საქმროს თავის წარმოსაჩვენად. დანიშნვა კი სამ წლამდე გრძელდებოდა. რა თქმა უნდა, ტყეში და მომთაბარეებში დევნილად გაზრდილი რუსი ქართველ დარბაზი-ლებსა და სამეფო კარს თავისი ველონი და უკუღრუო ქვეყნი, თავს ვერ მოაწონებდა და, მით უმეტეს, თამარ მეფეს, რომელიც ამ დროს უკვე გამოცდილი ხელისუფალია. მის გონიერებას, შორსმჭვრეტელობას, ქვეყნისა და ერის ერთგულ და მზრუნველ დედოფალს ვერ აცდუნებდნენ და ვერ მოატყუებდნენ ზანქარის, აბულ-ასანის, დადიანის და სხვა მათი მსგავსი ადამიანები. ის მალევე მიხვდა, რომ რუსი უღირსი პიროვნება იყო, რომ მას არაფერი სცხნია თავადური და მეფური. ამასთანვე, დანიშნვის ვადამდე ქვეყნის ერთგული სამეფო კარის წევრი ქართველები დააზუსტებდნენ მის რეალურ სოციალურ სტატუსსა და ქონებას, მდგომარეობას და დასკვნასაც გამოიტანდნენ, რომ ანდრია ბოგოლიუბსკის შვილობილ არაფერს ნიშნავდა, რაც შვილს არა აქვს არც აღზრდა, არც უნარი ქვეყნის პატრონობისა და ქონებრივადაც არაფერი გააჩნია, თავისი სახელიც კი არა აქვს. ასეთი კაცის თამარის ქმრად მოყვანა, უზარალოდ, დანაშაული კი არა, სახელმწიფოს, მეფის, ერისა და ეკლესიის წინაშე ღალატია. უღმერთო ყოველგვარი აღზრდილი რუსი, როგორც ქრისტიანი იქნებოდა?! ეს მან ორ-ნახევარ წელიწადში სრულად გამოავლინა.

გარდა იმისა, რომ იური ღირსი იყო და ავზინიანი, ამასთან ერთად იყო მელოდარი და გარყვნილი კაცი. სილოდა და გარყვნილება ნიშნობის პროცესშივე გამოჩნდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსს არა აქვს გაცნობიერებული საღ მოხვედრა, რომელ ქვეყანაშია, როგორ მოიქცეს არ იცის. ის, ფაქტობრივად, ტყიური კაცია. ტყის ყაჩაღ რედედღის გაზრდილი, იქ რა კულტურაზე, რა ზნეობასა და რა მეფის ქვეგაზეა საუბარი! ამდენად, კონფლიქტი სამეფო კარზე გარდაუვალი იყო.

იური რუსის ირგვლივ თანდათან იძებნა ურთიერთობა. მისი ქვეყა არა მარტო ქართული, არამედ, ნებისმიერი აზიური თუ ევროპული ქვეყნის, იგივე რუსეთის მთავრის კარზე ყოველად მიუღებელი, უღირსი და დანაშაულებრივი იყო. ღირსობას, ავზინაობას ემატება მამამთავლობა, ანუ სოდომური ცოდვა. ეს კი ყველა ქვეყანაში იკრძალებოდა, ყველა რელიგია მკაცრი იყო ამგვარი ადამიანების მიმართ.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ რუსის მომხრეები, ფაქტობრივად, მეფის, ქვეყნისა და ეკლესიის მოღალატეები იყვნენ. ესენი ისტორიულად რეალური პირები იყვნენ: ვარდან დადიანი-მსახურთუხუცესი, აბულ-ასანი – თბილისის ამირა, გუზანი – სამცხის მმართველი, ასანის შვილი და სხვა მათი ხელქვეითი ირები. მეფის მხარეს დგანან: ჭიაბერი, რატი სურამელი, ზაქარია და ივანე მხარგრძელები.

მეფეს კარგად აწყობილი მენეჯმენტი ჰქონდა და სათანადოდ აფიქსირებდნენ ყოველ მოვლენასა და წესრიგს სამეფო კარზე. თამარისთვის ცნობილი იყო რუსის მრუსობა მამაკაცებთანაც, გუზანიან და ცვატასთან. ორივე ყოველფერი წარმოშობის შთამომავალი იყვნენ, სასურველი იყო მწერლს გამოგონილ პერსონაჟ ცვატასთვის ეს სახელი არ დაერქვა, ცვატა ან ვახტანგის, აღმაშენებლის შვილი იყო, რომელიც ყოველგვარ ქალისაგან

წყავედა და რომელსაც აღმაშენებლის შვილიშვილმა დაეითმა, დემატრეს ქემ თვალები დასთხარა და დასაჭურისა, ანუ ქმის შვილმა ბიძა დასაჭურისა. ამდენად, არ არის სასიამოვნო მკითხველისთვის, რომ მამამთავლობაში რუსის პარტინორისთვის ავტორს ცვატა დაერქმია.

დანიშნვის ჩაშლა იოლი არ იყო, მაგრამ თამარმა ეკლესიური პოზიციიდან წარმოაჩინა რუსის დანაშაული და უზნეობა, მან იცოდა ეს, მაგრამ თმენდა, როგორც მემატინავე წერს: „ორისა და ნახევრის წელთა, ვითარცა გრდემლი მოითმენდა უკეთურებათა რუსისათა და რცხვერდა ყოველთა თამარისგან“.

რუსი სადიტიც აღმოჩნდა, უაზროდ სცემდა და ტანჯავდა კეთილშობილ კაცებსაც „ასოთა ამოგდებით“. კათალიკოსმა დაწინდნა გააუქმა ოფიციალურად, რაც იურის მომხრეთა მარცხი იყო. ამასთანავე, თამარმა ბრძნული და გაბედული სიტყვა თქვა იურისთან დანიშნვის გაუქმების თაობაზე: „მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხის-გასასა გამოართვად და უბრალოდ განვიყრი მტვერთაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“.

„ხელიდან ბეჭედი მოიხსნა და კათალიკოსის წინაშე პატარა მაგიდაზე დასდვა“. ზაქარია მხარგრძელმა კი რუსის ხმალი ამოიღო ქარქაშიდან და მუხლზე გადაამტვრია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“



ავტორს მნიშვნელოვანი ფრაზა უნერია ამის თაობაზე: „ვინა თუ ვისილა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა“.

უცნაური და დაუჯერებელი მართლაც ფარნავაზიან-გორგასლის-დავითიანის ტახტზე ვილაყ გადამითევიან, უცხო ერის დევნილი და უთვისტომო კაცის თამარის ქმრად ანუ მეფედ დასმა.

მემკვიდრის ცნობით, რუსი გააძევეს „რუსუდნ დედოფალმა და ყოველთა მთავართა“ და თამარის ქორწინების საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში. როგორც ჩანს, რუსუდნ დედოფალმა იმძლავრა ამ საკითხში, რომ ოსთა უფლისწული დავით სოსლანი მოიყვანეს თამარის ქმრად. დავითი მამით ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, რუსუდნის, თამარის მამისის გაზრდილი. ის ოსეთში იყო გათხოვილი და ქერივი საქმობლოში დაბრუნებული თამარის ზრდიდა. აქ მართლაც აირეკლება „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდი, რომელიც დავარის ცხოვრებას ეხება. დავარი გათხოვილი იყო ქაჯეთში და დაქვრებული, უკან დაბრუნებული ზრდიდა ნესტანს. გავს დავარისა და რუსუდნის პერსონაჟები ერთმანეთს.

დავით სოსლანისა და თამარის ქორწილი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სწრაფად უნდა შემდგარიყო, რადგან სამეფო კარზე ჰქონდათ ინფორმაცია იური რუსის დაბრუნებისა და ტახტის დაკავების საფრთხის შესახებ.

ხალხური ლექსი გადმოგვცემს: „დიდებულეში იქორწინლა, სადაც რომ საყდარი არი, ასი სული ცხვარი დაქლა და ორასი ნიშა ხარი“.

ეს სტრიქონები ჰიპოთეზულურია თუ რეალური, ფაქტია, რომ დიდი ქორწილი გადაინახა თამარმა, სადაც, ალბათ, აღმოსავლეთ-დასავლეთის უცხო ქვეყნის სტუმრებიც იყვნენ მონაწილე.

იყო. არც ჯარი ჰყავდა, არც ქონება ჰქონდა. წინააღმდეგობის შემთხვევაში, დადიანი არ აპატიებდა რუსს გეგმის ჩაშლას. მას ძალაც ჰქონდა, ავტორიტეტიც და ჯარის შეკრებაც შეეძლო. ცხადია, მსახურთუხუცესი დადიანი თავის ძალაუფლებაზე ზრუნავდა რუსის გამეფებისთვის რომ იბრძოდა და სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებდა.

ბასილი ეზოსმოდღარი რუსის მომხრეებსა მეფის ერთგულთა შორის ამ ბრძოლას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს: „ამას ფამსა მცირედ რამე აღიძრეს იმერელ-სუხანი მსგავსად ჩვეულებისა ურჯულობისა და რუსი მოიყვანეს, როცა კუალად განსამეფებლად, ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი ვერ უძღეს, არამედ უფროსად შევიმტვინეს. გააქციეს და წავიდეს სირცხვილენი“.

ამ ცნობის მიხედვით, „იმერენი“, ანუ დასავლეთის თავადების ნაწილი, სვანების მონაწილეობით, ვარდანის მონობებით, გამოდიან საბრძოლველად. იმერელი იმ ეპოქის გააზრებით მთლიან დასავლეთს, ანუ ლიხს იქეთა მხარეს ნიშნავდა. სავარაუდოდ, დადიანის ხელქვეითები და მისი მეომრები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებმაც მესხების ჩაბმაც სცადა, მაგრამ მესხებმა ისინი მტრულად მიიღეს და გააქციეს სირცხვილით“.

ბასილი ეზოსმოდღარისგან განსხვავებით „აზმანი შარავანდელთანი“ ავტორი დიდ ად-

გილს უთმობს იური რუსის მომხრე მეფისგან განდგომილთა ბრძოლას სამეფო ჯარის წინააღმდეგ. ამ ცნობის მიხედვით, ძირითადი ძალა მოლაღატეთა ჯარში დასავლეთ საქართველოდან იყო. სვანეთი, აფხაზეთი, გურია, სამეგრო, რაჭა, თაუური და არგვეთი, რომელიც დიდადანიმა დაფიცა რუსის გამეფებაზე.

კარნუ-ქალაქში ჩამოსულ უბედურ რუსს პირველი გუზანი მიეახლა, რომელიც კლარჯეთსა და შავშეთსა ფლობდა. ანუ კურაპალატების ადგილზე ყოფილი გუზანი ზის. ყოველგვარი, რა თქმა უნდა, რუსს, როგორც ყოველგვარი გაზრდილი კაცის, თავისიანად მიიჩნევდნენ. ალბათ, ამიტომაც, აბულ-ასანი და გუზანი დაუფიქრებლად დადგნენ იურის მხარეს. გუზანის მომხრე ბოცო (ყოჩალი) და მისი მიმდგომნი, ანუ მათ ქვეყნდგომობაში მყოფი კლარჯთა და შავშთა ნაწილი.

მეფის მხარეს დგას სამეფო სპა, დანარჩენი მხარეების ჯარები და მესხები, „და მიერ მესხნიცა, ერთგულად დარჩომილი“.

ბრძოლა არათანაბარია, მეფის უძლველ ჯარს, რომელსაც წინ ვერც ერთი ქვეყნის ჯარი ვერ უდგება, როგორ სძლევა განდგომილთა შენაერთებს, რომლებიც, როგორც შ. დადიანის რომანშია ასახული, მეფის დროშის დანახვაზე, აღარ შეეხებნენ სამეფო სპას. აშკარად ჩანს, რომ დადიანი მხოლოდ თავად-აზნაურებს უხსნის შტორების მიზეზს და მათ აფიცებს რუსის ერთგულებას, ხოლო რიგითმა მომხრეებმა არ იციან, სად და ვისთან მიდიან საომრად.

მეფის მხარეს ერთგულად დგას დიდი ძალა – ამირსპასალარი გამრეკელი, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ჭიაბერი, რატი სურამელი და სხვა უებრო სარდლები და მეომრები.

ვარდან დადიანმა ამაოდ გათვალა მესხეთისა და ჯვანეთის დაპყრობით დაეწყო ომი. ბრძოლა, ძირითად, ნილის ველზე გაიმართა, სადაც გამრეკელის მეთაურობით, რუსულად გაანადგურა მეფის ჯარმა განდგომილები. მწერალი ამ ომს მაღალმხატვრულად აღწერს და ობიექტურად წარმოაჩენს ვარდან დადიანის მარცხსა და მოლაღატურ ბუნებას, მან დაჭრა ივანე ათაბაგი.

ამ ბრძოლის შემდეგ მეფე საკუთრებაში აძლევს თავის მომხრეებს ქალაქებს, ციხეებს, სოფლებსა და მამულებს. რაც მოგვიანებით არასასურველ შედეგს მიიღებს და ხელს შეუწყობს საქართველოს მთლიანობის დაშლას. რომანის მიხედვით, დადიანი მარტვილის მონასტერში ალიკვეცა, კუზმა – რუსის გამზრდელი შვიცყალა მეფემ, როგორც უდანაშაულო კაცი, იური და ცვატა სამეფოდან გააძევა. მემკვიდრის ცნობით „რუსი ნავიდა, მასვე მისა სვეუბედურსა გზასა გაემართა“. ივანე მხარგრძელს მსახურთუხუცესობა უბოძა. ალბათ, ვერაინ წარმოიდგენენ, რომ შემდეგში, ქვეყნის ყველაზე დიდ მოლაღატეს – ივანე ათაბაგს აწინაურებდა თამარი.

შ. დადიანის რომანი „გიორგი რუსი“ („უბედური რუსი“) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში, რომელიც რუსის საქართველოში ყოფნისა და მისი თამართან ურთიერთობის ფონზე ასახავს მეთორმეტე საუკუნის 90-იანი წლების ეპოქას. რომანში ლიტერატურულ-ისტორიულ წყაროდ გამოყენებულია ქართული მათიანე „ისტორიანი და აზმანი და შარავანდედთანი“ და ბასილი ეზოსმოდღარის „ცხოვრება მეფეთა მეფის თამარის“. მატიანეებშიცაა და რომანშიც წარმოჩენილია იური რუსის თამარის ქმრად მონაწილეობა და მისი გამეფების მომხრეთა ღალატი, რაც შ.დადიანმა საინტერესო და მაღალმხატვრული ოსტატობით ასახა, რითაც მისმა რომანმა ღირსეული ადგილი დაიკვიდრა ქართულ პროზაში.



# მატიანი



ახალციხის მახრის მცხოვრებლები. XIX ს.-ის 90-იანი წლები. ბაჰადირ სულეიმანის საოჯახო არქივიდან

## დასაწყისი გვ. 11

და გულიანად უტყვენდნენ თვით მეფის ბანაკს. „ივანე ორბელი მეთაურობს ამ რაზმს“, – ამბობდნენ გამოცდილი მსახურნი მეფისა. ისინი აჩვენებდნენ კიდევაც მენამულისფერ რაშს და სარკესავით მზინავ მუზარადს ყუთლუს, მაგრამ იგი მხოლოდ შეჩოჩხნილ, ერთმანეთში

რიან სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. მის ყურამდეც მიღწეა მემართა ყიფინამ და სასიხარულო შეძახილებმა, ივანე ორბელის დანებების შესახებ. ყუთლუმ მიაყურა და ლორეს სანახებიდან მომავალ ხმებს და საჩქაროდ გაემართა სამეფო მცველთა მოწვეული სახლისაკენ. შევიდა მოწვეულში, ხელში აიღო დათვის ტყავის შალითაში ჩასვენებული ხის ფარი და სამეფო კარავის მიმართუ-

# საოცარი აღზავა ყუთლუ-არსენისა

არეულ კაცთა და ცხენთა გუნდებს ხედავდა და თრთოდა უჩუმრად, როცა გაშმაგებით სცემდნენ ერთმანეთს ყოველგვარ სასროლსა და საჟღერტ იარაღს ლორეს ვეება კედლის შიგნით და გარედან მიმდგარი ჯარები.

– იოანე ორბელს საკუთარი საჭურჭლე სამშვიდდეს აქვს გადამალული, რასაც მალულად ახალი რაზმების დაქირავებას ახმარსო, – ამბობდნენ მეკარენი. ყუთლუ გრძობდა, სამეფო კარი გათავად იყო აუღებელი ციხის უნაყოფო იერიშებით. ამიტომაც გუმანით ხედებოდა, რომ მასაც და მისთვის ჩაბარებულ ფარზეც პასუხს მოკითხავდნენ სამეფოს ბედობლის გამგები პირები.

ლორესთან დგომის მე-5 თვის ორშაბათს, როცა დაღლილი ანგელოზებით, მდუმარედ იდგნენ ხშირფოთლოვანი ხეები, ხოლო ლაშქარი სხეულებამყარილი ჩუმად კვნიდა, ლორეს ციხეს აფაფრული ქონგურიდან ვილაცის ლანდმა ისარი სტყორცნა სამეფო ბანაკს. ნაცნობი ზუზუნის ხმამ წამოშალა სამეფო სპა და რამდენიმე მონადირე სირბილით დაუყვავა მეფის კარვისაკენ. ერთმა მათგანმა გადაჭრილი ხის კუნძზე დასობილ ვეება ქეიბურს მოჰკრა თავალი. ქეიბურს, დიდი ზომის მძიმე ისარს, ტყავის ქარქაში ჰქონდა შემოსატყლი. მონადირემ ზეანია ქეიბური და შეჰყავრა მეფის მეკარვეთა და მცველთა გასაგონად:

– ნერილი გვტყორცნეს ლორელებმა... მეფის მანდატური უმალ მიეჭრა ისრის მპყრობელს, ღიმილით გამოართვა მას ტყავის ქარქაში და მეფის კარვისაკენ სირბილით გაიჭრა.

– ნერილია, გვინებდებიან ლორეს მცველნი, – ერთმანეთს ეუბნებოდნენ მოლაშქრენი და თვალბანებულნი შეჰყურებდნენ გორაკს, რომელზედაც სხვა კარავთა შორის გიორგი მესამე ბაგრატიონის მავი კარავი იწონებდა თავს. აღმაფრთოვანებული ამბავი სწრაფად იპყრობდა მეფის ჯარის განსხვავებულ დასტებს და სულ მალე თვით ნერილის შინაარსზეც საუბრობდნენ ქორის მოყვარულნი ქალაქელი მეომრები. ფარისმტვირთველი ყუთლუ დილაად-

ლებით წავიდა. როცა იგი კარავის მცველთა მიუახლოვდა, უჩუმრად შედგა და ლორეს ციხეს მიაპყრო თვალი.

– გაგიმარჯოს, ფარისმტვირთველო! – მიესალმა მას ათეულისთავი მუხრან გაბლიძე და მამამეილური სიყვარულით შეხედა ყუთლუს.

– გაგიმარჯოს, ათისთავო, ვერ შეგიცნე უცბად, მაპატიე, – სიხარულით წარმოთქვა ყუთლუმ და მკერდზე მოხვია ხელგამოღობილ მუხრანს.

– ვერ შემიცან და რა დიდი კაცი გახდი ყუთლუ, გაგიგე შენი განათლების ამბავი. დაგიფასა ჩვენმა ხელმწიფემ, გაგვიმართლე იმედები ყველას. აბა, შენ იცი, ჩემი კარავი, აბა შენ იცი! – ამბობდა ძია მუხრანი და აწვდრევდა მის ხელებში მოქცეულ ყუთლუს. ბავშვობისას მეზობელთა წრეში ჩამჯდარი ყუთლუ დიდი მოწონებით უსმენდა მუხრან გაბლიძის ქალის, ასმათის მოყოლილ ამბებს ქმრის ლაშქრობების შესახებ. მხოლოდ იშვიათად მოკრავდა იგი თავს სახლში შემოსულ სამეფო ტყავ-კაბაში გამონყობილ მხარგანიერ ათეულისთავს, რომელსაც მუდამ საკუთარი შვილები ეხვივნენ გარს.

ახლა კი ამხელა მეომარი თავს უტოლებდა მას – ჯერ კიდევ დაუმსახურებულ კაცს და მასთან, როგორც სწორი სწორთან, საუბრობდა. – ყუთლუ, ამ აზრმა, ცოტა არ იყოს, გაახარა და სახეზე ფერი მოჰგვარა.

– ფარისმტვირთველო, თუ გნებავს გაგაბტარებთ! – მონიშნებით თქვა მუხრან გაბლიძემ.

– არა, ძია მუხრან, ჯერ არავის დაუბარებია დიდი მეფის კარავში. უბრალოდ, ვდგევარ და ვიცდი, ადვილად რომ მომიქნებონ მალე მსობროლთა, – თქვა ყუთლუმ და სამეფოს კარვისაკენ გააპარა თვალი.

– ჩემო ყუთლუ, გენაცვალოს ძია მუხრანი. იცი, რა გითხრა, ძალიან გაიხარა, რომ ყველას შორის გამოგარჩია ქალაქის ამირამ. მე ისიც ვიცი თუ როგორ სწავლობდი წიგნს და სიბრძნეს. იქნებ ჩემი ბაჩანაც შენ დაგემსგავსოს – გააგრძელა საუბარი ათეულისთავმა. ყუთლუს გაახსენდა მოკირნულ ქუჩებიანი, აღმართ-დაღმართებიანი უბანი და უცებ

წარმოიდგინა მუდმივად მოფუსფუსე დედა, რომელიც ახლა წელზე ხელებმემოწყობილი მილასლასებს ტფილისის კალოუნის აღმართზე და თავის ერთადერთ შვილზე ფიქრობს. ძია მუხრანთან შეხვედრამ მშობლიური კერა მოაგონა ფარისმტვირთველს და, რაც მთავარია, ახალ თანამდებობასა და სამეფო მოწყალების დედისთვის მიხარება მოუნდა მას. – ეპ, როგორ გაიხარებს ხათუნი თავისი შვილის წინეულობით, – გაიფიქრა ყუთლუმ და დედა წარმოიდგინა, მაგრამ უეცრად შიში მოაწვა გულს, შიში იმისა, რომ მეფის წყალობა არ დაეკარგა და უკვე შეჩვეული ახალი სამხედრო ჩინი პირიქით, ახალ, უფრო უკეთეს ჩინში გადაეზარდა.

– ფარისმტვირთველი მეფესთან, – შესძახა სამეფოს კარის მალემსროლმა ომას ბარასკევაშვილმა. ყუთლუ უეცრად ამ შეძახილზე წელში გასწორდა. მასთან მოსაუბრე ათეულისთავისათვის მრავლისთქმელი სიტყვა „ყუთლუ, იცოდე არ დაგვიწიო“, უპასუხოდ დატოვა და სამეფო კარისაკენ გაიქცა. მუხრან გაბლიძემ თვალი გააყოლა ფარის სიმძიმისაგან წელში მოხრილ, მორბენალ ყუთლუს და შემდგომ ამბავად გადახედა თავის ხელქვეითებს.

ყუთლუ გარბოდა მეფის კარვისკენ და წინა დღეებში მოფიქრებულ სიტყვებს იმეორებდა. ამ სიტყვებს და მათში ჩაქსოვილ აზრს მეფის სპა გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა. ყუთლუ გრძობდა, რომ მისი თეთრად გათენებული ღამეები, სწავლა და შრომა, რაც მთავარია ახლის მიგნებისა და ძველის გაუმჯობესების ბავშვური სურვილი, ვილაცას სჭირდებოდა, ვილაცას სჯეროდა, აქედან გამომდინარე, მეფის კარზე უეცრად დანინაურებული ფარისმტვირთველი მის წინ უზარმაზარ, ჯერ შეუცნობელ ასპარეზს ხედავდა და ეს ხედავა ყუთლუს გამხდარ მკერდსა და მკლავებს უზარმაზარი ძალით ავსებდა თითქმის.

სამეფო კარავში ყუთლუმ თვალი გიორგი მეფეს მიაყრო. კარვის ბოლოს საველე ტახტზე იჯდა იგი – ფართო თვალწარბიანი, სწორი ცხვირიანი, გრძელი, ფართო სახის მქონე, ჩა-

# „წიქო, არ დაიარკვი!“

## მარტი ჩამოდგა

მარტი ჩამოდგა ფანჯრებში, ცა სევდით დაინამაო, მურჯებში თოვლი ალაგდა, ენძელა გაიშალაო.

საბანობლიდან ნისლები აბულზე აიყარაო, ჩიტებმა იწყეს ჭიჭიკი ახარეს მინდორ-ჭალოაო.

რად ყოფილა ტიალი ამ სიყვარულის ძალოა, ვილევე შენი სურვილით ბარნაბიენთ ქალოა.

რად არ მომეყვები ცოლადა, რად ამბობ – „არა, არაო!“ იქნება ვინმე სხვა გიყვარს და გულის ნადებს მალავო?

\*\*\*

გაზაფხულის ნათება ხარ, მაისი ხარ ვარდიანი, შენი ცქერით მიღეულმა ლექსი ვწერე დარდიანი... ხან მზეს გაეგზარ, ხან მთვარესა, ხან დილა ხარ ქარიანი.

## დანკალი

გადახიზნულა სოფელი ფერი წასვლია ველებსა, დანკლის მდუმარე კედლები ელოდებიან მშველელსა.

არც ხნავენ, აღარც თესავენ, აღარც რეკავენ ზარებსა, აღარც აბქარი დასტირის შამბიან ნასახლარებსა.

## გოგაშენი

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი მიწის და ცისაო, პურ-ღვინით დაუღვეელო, დამთრგუნებელი მტრისაო.

ჭაჭკარს ნანურო მტევანო, – სასმელო ღმერთებისაო, რა თხელი თალხი ჩაგიცვამს, ქარაფო გოგაშენისაო?

გამშვენებს გუთნეულები – ყანები თავთუხისაო, დაბლით გალაღებს ნალკოტი – ხეობა ვარძიისაო.

მოგაქვს ყვავილთა სურნელი – ფაფარაშლილი ზერისაო, რა ლამაზი ხარ საცქერლად მზე რომ მოგაფენს სიხვისაო.

ავტორ-მთქმელი **ილდარ ზაზაძე**, 43 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში. 2022 წელი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [WWW.SCFI.CO](http://WWW.SCFI.CO); fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე  
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.**  
სარეგისტრაციო N194-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე  
სარედაქციო საბჭო: დურმიშან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში  
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.  
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:  
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,  
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24  
lit\_meskheti@gmail.com  
lit\_meskheti@yahoo.com

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატვამებზე პასუხს არ აგებს